



საქართველოს უნივერსიტეტი
ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა
სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი

1. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო არის სამეცნიერო-აკადემიური კოლეგიალური ორგანო, რომელიც დროებით, 3 წლის ვადით ინდივიდუალურად იქმნება თითოეული დოქტორანტისათვის მისი სასწავლო-კვლევით კომპონენტის სამეცნიერო ადმინისტრირების გასაწევად.
2. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე 3 წევრისგან, ხოლო თანახელმძღვანელის აუცილებლობის შემთხვევაში - 4 წევრისგან.
3. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა შესაძლებელია გაფართოვდეს მის საქმიანობაში დოქტორანტების ჩართვით (ინტეგრირებულ სამაგისტრო და საბაკალავრო კვლევებში), ვოლონტიორი თანახელმძღვანელის ან ვოლონტიორი თანაექსპერტის სტატუსით, კვლევაში პედაგოგიური პრაქტიკის გასავლელად.
4. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები:
1) დოქტორანტის **სამეცნიერო ხელმძღვანელი** (და თანახელმძღვანელი საჭიროების შემთხვევაში, როდესაც საკვლევი საკითხი მოიცავს რამოდენიმე დარგს/სფეროს), 2) **საბჭოს წევრი (შიდა ექსპერტი)** -თემის შესაბამისი მიმართულების/დარგის სპეციალისტი, და 3) **საბჭოს თავმჯდომარე**. ამ ფუნქციას ძირითადად ასრულებს სადოქტორო პროგრამის კვლევითი მოდულის ხელმძღვანელი ან უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელი. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელები არიან თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან ექსპერტი, საბჭო თავისი შემადგენლობიდან პირველივე სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც არ არის დოქტორანტის ხელმძღვანელი.
5. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი ერთდროულად შეიძლება იყოს რამდენიმე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს წევრი.
6. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თავის 1-ლ სხდომაზე, რომელიც ტარდება გაფართოებულ ფორმატში (სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს რიგითი გაფართოებული სხდომა განპირობებულია ფართო სპექტრის საკვლევი

საკითხებზე წარმოდგენილი კონცეფციების განხილვების, ინდივიდუალური საბჭოების ფორმირების, სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და შიდა ექსპერტების შერჩევის, მათი მოსაზრებების გათვალისწინებისა და შეჯერების მიზნით სხდომაში მონაწილეობას დებულებს პროგრამაში მონაწილე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სტაფი) დოქტორანტურაში ჩარიცხვისას განიხილავს და ამტკიცებს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ კვლევის კონცეფციას. რიგით პირველ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომას თავმჯდომარეობს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ან სადისერტაციო ნაშრომის (კვლევითი კომპონენტის) მოდულის ხელმძღვანელი. სხდომას აოქმებს და გადასცემს სკოლის საბჭოს- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანაშემწე ადმინისტრაციულ და აკადემიურ საკითხებში.

7. სადისერტაციო ნაშრომის (კვლევითი კომპონენტის) მოდულის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომების ჩატარებას, თავმჯდომარეობს სხომებს (მათ შორის სადოქტოროსთან ინტეგრირებულ სამაგისტრო და საბაკალავრო თემებზე), ყოველსემესტრულ მონიტორინგს უწევს კვლევების მიმდინარეობას და მათ ხარისხს.
8. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი (მინიმუმ 2 წევრი).
9. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს 2 წევრიანი სხდომის დროს გადაწყვეტილება მიიღება ორივე წევრის ერთნაირი პოზიციის (დადებითი ან უარყოფითი) შემთხვევაში, ხოლო განსხვავებული პოზიციების დროს ტარდება განმეოებითი სხდომა, საბჭოს მე-3 წევრის მონაწილეობით.
10. 1-ლ და/ან მე-2 სასწავლო სემესტრში, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო ისმენს და აფასებს საკვლევ საკითხზე ლიტერატურის (100 და მეტი ლიტერატურული წყაროს) მიმოხილვას, განიხილავს და ამტკიცებს 2-3 სემესტრიანი (მაქსიმუმ 1,5 წელი) სამეცნიერო კვლევის გეგმას (კვლევის პროტოკოლი). სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს აღნიშნული სხდომა ტარდება გაფართოებულ ფორმატში და მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს სკოლის ბიოეთიკის კომისიაც.
11. ბიოეთიკის კომისია კვლევის პროტოკოლის განხილვაში მონაწილეობის შემდეგ შემჭიდროვებულ ვადებში ატარებს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარი, ანკეტა, ტესტი, ინფორმაცია ლაბორატორიული/საველე კვლევების, ექსპერიმენტების თუ სხვა აქტივობების შესახებ, რომლის გამოყენებითაც იგი აპირებს კვლევის ჩატარებას) ექსპერტიზას, ამოწმებს ხომ არ ილაზხება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი ღირსება, არ ირღვევა ეთიკის ნორმები, არ ადგება ზიანი მათ სიცოცხლეს და კეთილდღეობას, არ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა და საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აღიარებული ფუნდამენტური ჰუმანური პრინციპები, არეგისტრირებს კვლევას და გასცემს მის დაწყებაზე ნებართვას.

12. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო ყოველსემესტრულად მონიტორინგს უწევს სასწავლო კომპონენტის მიმდინარეობას და კვლევითი კომპონენტის დაწყების პროცესს.
13. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო ყოველსემესტრულად მონიტორინგს უწევს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებასა და მის ხარისხს, აფასებს ნაშრომის რეპრეზენტაბელურობას, მიღებული შედეგების სარწმუნოობას, სამეცნიერო და პრაქტიკულ ღირებულებას. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო დოქტორანტს აძლევს რეკომენდაციებს ნაშრომის სრულყოფის მიზნით.
14. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომების ჩატარების ყოველსემესტრული გეგმა-გრაფიკი და თითოეული განსახილველი კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემები ნაჩვენებია „სადისერტაციო ნაშრომი: სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის გზამკვლევი“
<http://caucasushealth.ug.edu.ge/pdf/v3i3/Roadmap%20to%20Research%20Component%20of%20the%20Doctoral%20Program.pdf>
15. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო 3 სემესტრის განმავლობაში (3-5 სემესტრებში) მონიტორინგს უწევს უშუალოდ სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო-კვლევითი ფრაგმენტების შესრულებას, სემესტრში 2-ჯერ (მე-17 კვირას-შუალედური შეფასება, ხოლო 21-ე კვირას-საბოლოო შეფასება, ჩათვლა) აძლევს შეფასებას დოქტორანტის ნაშრომის ფრაგმენტს.
16. თითოეული კომპონენტის შეფასებებისას საბჭოს წევრი იყენებს შეფასების 100 ქულიან სისტემას (იხ. სადისერტაციო ნაშრომის გზამკვლევი). 50%-ის გადალახვის შემთხვევაში დოქტორანტი იღებს ჩათვლას.
17. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრისაგან კვლევის ფრაგმენტის საბოლოო სემესტრული შეფასებისას, ჩათვლის მიღება დასტურდება V აღნიშვნით და წევრის ხელმოწერით.
18. დოქტორანტი ნებისმიერ კვლევით მოდულში ჩათვლას იღებს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სულ ცოტა 2 წევრისაგან ჩათვლის მიღების შემთხვევაში.
19. კვლევითი ფრაგმენტის საბოლოო შეფასებისას, დოქტორანტისთვის ჩათვლის მიცემა/არმიცემით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის განხილული კვლევის ფრაგმენტის დასრულებისა და სხვა ფრაგმენტზე გადასვლის, ან კვლევის საერთოდ დასრულების, ან შემდეგ სემესტრში იგივე ფრაგმენტის, შესაძლოა კორექტირებულისაც, თავიდან ჩატარების შესახებ.
20. სამეცნიერო ხელმძღვანელი განსაზღვრავს დოქტორანტის კვლევის მიმართულებას, საკვლევ საკითხს, აძლევს რჩევებს კვლევის დიზაინის, მეთოდების, მონაცემთა ანალიზისა და ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე, ახდენს კვლევის შედეგებისა და სადისერტაციო ნაშრომის მონიტორინგს, დოქტორანტთან ერთად განიხილავს კვლევის შედეგებს და სტატიებს, აძლევს რეკომენდაციებს მიღებული დასკვნებისა და სამეცნიერო

- სიახლის კორექტირებისა და მეტი წარმოჩინებისათვის, ნაშრომის ფრაგმენტების გამოსაქვეყნებლად ურჩევს შესაბამის ჟურნალებს, ლობირებას უწევს დოქტორანტს ყველა ეტაპზე, დაცვის ჩათვლით.
21. საბჭოს წევრი (შიდა ექსპერტი) სადისერტაციო ნაშრომს აქტიურად უწევს ოპონირებას და ცდილობს მის სრულ, დეტალურ და ობიექტურად კრიტიკულ შეფასებას, პოზიტიური ასპექტების ასევე აღნიშვნითა და მხარდაჭერით.
 22. საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზაციულად ხელმძღვანელობს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს, იცავს სხდომის რეგლამენტს, აკადემიურად აფასებს ნაშრომს, აქტიურად მონაწილეობს კვლევის საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო-მეთოდურ განხილვებში, დისკუსიებში თუ გადაწყვეტილებების მიღებაში. მისი ხმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, გადამწყვეტია, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შიდა ექსპერტის მიერ ნაშრომის განსხვავებული შეფასების შემთხვევებში.
 23. კვლევითი კომპონენტის დასრულებისას, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციით თითოეული დოქტორანტისათვის განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა, რომელშიც ავტომატურად შედის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სამივე (შესაძლოა 4) წევრი, და რომელსაც ემატება 2 გარე ექსპერტი, რომლებიც არიან სადისერტაციო თემის შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და არ არიან საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. გარე ექსპერტებს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესაბამის დარგში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეთ პუბლიკაციები.
 24. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად ასრულებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.
 25. წინასწარ დაცვამდე სადისერტაციო ნაშრომი გადის პლაგიატზე კონტროლს. წინასწარი დაცვის შემდეგ დაცვამდე მოწმდება სადისერტაციო ნაშრომის ფორმატის APA-ს სტილის სტანდარტებთან შესაბამისობა და მიეცემა შესაბამის დასკვნა, დოქტორანტის მიერ კორექტირების ვადის მითითებით.
 26. სადისერტაციო საბჭო, დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, იქმნება სკოლის საბჭოს მიერ, ნაშრომის წინასწარი დაცვის შემდეგ, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე (წინასწარი დაცვის ოქმი) 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ამ დროს სკოლის საბჭო ითვალისწინებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს.
 27. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანაშემწე ადმინისტრაციულ და აკადემიურ საკითხებში, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ასოცირებული ან სრული პროფესორი, ესწრება სამეცნიერო-საკონსულტაციო და სადისერტაციო საბჭოს სხდომებს ხმის უფლების გარეშე, როგორც სხდომის მდივანი, აფორმებს ოქმებს. იგი პასუხისმგებელია დოქტორანტის და საბჭოს წევრების ინფორმირებულობაზე და დოკუმენტაციის შენახვაზე, გეგმავს სასწავლო სემესტრის გრაფიკს, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს

- სხდომებს, მონიტორინგს უწევს ექსპერტების შეფასებებს, სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგებს აცნობს პროგრამის ხელმძღვანელებს და სკოლის დირექტორს, ამზადებს პროგრამის წლიურ ანგარიშებს.
28. რიგ შემთხვევებში, მაგ: კვლევითი კომპონენტის ინდივიდუალურ გეგმა-გრაფიკთან დოქტორანტის მნიშვნელოვანი ჩამორჩენის, რაც შესაძლოა დაკავშირებულია კვლევის ჩატარების შემაფერხებელი ფაქტორების წინასწარი გაუთვალისწინებლობით ან პოლიტიკური თუ სხვა ფაქტორებთან დაკავშირებული სიტუაციური ცვლილებებით, რაც აფერხებს ან შეუძლებელს ხდის კვლევის შემდგომ გაგრძელებას, ან საკვლევი თემა მოითხოვს მნიშვნელოვან კორექტირებას ან საერთოდ შეცვლას, ან ნებისმიერ სასწავლო-აკადემიურ საკითხზე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებს შორის შეთანხმების მიუღწევლობის დროს და ა.შ. შემთხვევებში, მათ შორის დოქტორანტის მოთხოვნით- ტარდება რიგგარეშე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებული სხდომა. გაფართოებული სხდომის დროს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებს ემატება სულ ცოტა 2 წევრი სკოლის აკადემიური პერსონალიდან, დოქტორის ხარისხის მქონე ასოცირებული ან სრული პროფესორი, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი ან სადისერტაციო ნაშრომის მოდულის ხელმძღვანელი, რომელიც (ერთ-ერთი) თავმჯდომარეობს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომას, რომელსაც აოქმებს და გადასცემს სკოლის საბჭოს-სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანაშემწე ადმინისტრაციულ და აკადემიურ საკითხებში.
29. დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად. დოქტორანტი არ არის შეზღუდული მონაწილეობა მიიღოს სხვა საგრანტო კონკურსებში.
30. საგრანტო დაფინანსების საკითხი განიხილება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც დადებით შუამდგომლობას წარუდგენს სკოლის კვლევითი ინსტიტუტს (ან სხვა გრანტის გამცემ ორგანიზაციას). სკოლის საბჭო, შუამდგომლობის მისთვის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების საკითხზე (დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დაფინანსების ოდენობისა და დასაფინანსებელი აქტივობის მითითებით).
31. წინასწარ დაცვამდე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თავდაპირველად ამოწმებს სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე (სადისერტაციო საბჭოზე ნაშრომის დაცვა) დაშვების წინაპირობების შესრულების მდგომარეობას (სამი სტატიის პუბლიკაცია, მათ შორის იმფაქტფაქტორიან ჟურნალში, აპრობაცია, პრეზენტაცია სამეცნიერო კონფერენციაზე). ყველა წინაპირობის დაცვის შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს წინასწარი დაცვის სხდომის თარიღს. წინასწარ დაცვაზე საბჭო ეცნობა დოქტორანტის მიერ ორენოვან

- (ქართულ და ინგლისურ ენებზე შესრულებულ, სულ მაქსიმუმ 50 გვ.)
ავტორეფერატსაც. ავტორეფერატი მზადდება დანართი #15-ის შესაბამისად.
32. პრეზენტაციებზე, მათ შორის წინასწარ და საჯარო დაცვებზე დოქტორანტის მოხსენების ხანგრძლივობა განისაზღვრება 20 წუთით.
 33. წინასწარი დაცვის ოქმის გათვალისწინებით, სკოლის საბჭო განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას და დისერტაციის დაცვის დაზუსტებულ თარიღს.
 34. დოქტორანტი, სადისერტაციო ნაშრომის რედაქტორის მიერ დასკვნის გაცემის შემდეგ, გასწორებულ ნაშრომს უგზავნის საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს. მენეჯერი დაუყოვნებლივ უგზავნის სადისერტაციო საბჭოს წევრებს ნაშრომის ელექტრონულ ვერსიებს.
 35. სადისერტაციო საბჭოს ექსპერტები ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა წარადგენენ წერილობით დასკვნას, რომელშიც გამოკვეთილი იქნება ნაშრომის როგორც დადებითი მხარეები, ასევე ხარვეზები. დასკვნაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს იმსახურებს თუ არა დოქტორანტი ხარისხს. დასკვნის საფუძველზე დოქტორანტს ეძლევა 5 სამუშაო დღის ვადა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად ან პასუხების მოსამზადებლად.
 36. ნაშრომის დაცვამდე 3 სამუშაო დღით ადრე დოქტორანტი საბჭოს წევრებს და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს ელექტრონულად უგზავნის ნაშრომის საბოლოო ვარიანტს.
 37. სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და მას შეიძლება დაესწროს ნებისმიერი ფიზიკური პირი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასწრების მსურველ პირთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში, რის გამოც შეუძლებელია ნაშრომის დაცვისთვის განსაზღვრულ ადგილას (აუდიტორია, დარბაზი და სხვა) მათი განთავსება, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეზღუდოს დაინტერესებულ პირთა დასწრება ნაშრომის დაცვაზე.
 38. სადისერტაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მის სხდომას (სადისერტაციო ნაშრომის დაცვას) ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 4/5. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
 39. თუ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება კენჭისყრის ფარულად ჩატარების შესახებ, კენჭისყრა არის ღია.
 40. სადისერტაციო საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს სხდომის მდივანი. ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს დანართის სახით ერთვის სხდომაზე დამსწრე პირთა დასწრების ფურცელი, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე პირები.